ხაშურის მოამბე

№36(409) 25 სექტემბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ შეხვედრები გამართა

ცენტრის ექსპერტი მაია კუპრავა-შერვაშიძე საკრებულოს წევრ ქალებს და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შეხვდა და ქალებთან შეხვედრების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები გააცნო. დაიგეგმა სამომავლო ინტერვენციები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილმა შეხვედრა გამართა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისო კომისიის წევრებთან. დისკუსიის ფარგლებში, განიხილეს საქართველოს მუნიციპალიტეტებში დანერგილი კარგი პრაქტიკები და იმსჯელეს იმ საექსპერტო თუ სარესურსო დახმარებაზე, რაც შეიძლება ქალთა საინფორმაციო ცენტრმა უწყებათაშორის კომისიას აღმოუჩინოს.

შეხვედრებს ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი მაკა დიდებულიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

შეხვედრებმა დისკუსიის რეჟიმში ჩაიარა. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობით, ოსიაურში, „ბატონის ბაღის“ მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა

„აღნიშნული აქცია, კამპანია, „დავასუფთაოთ მსოფლიოს“ ფარგლებში განხორციელდა და გარემოსდაცვითი მიმართულებით, ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. მოვუწოდებთ მოსახლეობას, არ დააბინძურონ გარემო და იზრუნონ ეკოლოგიაზე“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

დასუფთავების აქცია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, სადაც 135-მდე ქვეყანა მონაწილეობს. საქართველოში აქციის მხარდამჭერები არიან:საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.“ არასამთავრობო ორგანიზაციები: „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“(KGT), საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“.

- SOS -

ლაშხევი - სოფელი, რომელიც საშიშროების წინაშე დგას

უმძიმესი ტრაგედიები დაატყდა, ბოლო პერიოდში, ჩვენს სამშობლოს. შოვის და შემდეგ გურიის სტიქიური პროცესების შემზარავი ფოტოები მსოფლიო მედიის ფოკუსში მოექცა. სტიქიას შეეწირნენ ადამიანები, მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც, სამწუხაროდ, სწორედ ამ პროცესების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. სპეციალისტების დასკვნებით, თითქმის აბსოლუტურად შეუძლებელი იყო ამ სტიქიების წინასწარი პროგნოზირება. თუმცა, იგივე სპეციალისტები სხვა დასკვნასაც აკეთებენ, რომ საქართველოში ასეულობით (თუ მეტი არა) ადგილია, რომელიც მეწყერსაშიშ ზონად ითვლება და თუ რაიმე სახის პრევენციული ზომები არ იქნა მიღებული, სტიქია კვლავ გამოამჟღავნებს თავის მსახვრალ ბუნებას.

რატომ დაგვჭირდა ეს შესავალი ამ წერილისათვის? გვინდა, იმ საშიშროებაზე გავაკეთოთ აქცენტი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ პატარა სოფელს - ლაშხევს ემუქრება. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი მაინცდამაინც მაღალი მთებით არაა შემოსაზღვრული (თუმცა, არც უმაგისობაა) და მსგავსი მოვლენები ჩვენგან შორსაა. ამის უარყოფად, თუნდაც, ამ ათიოდე წლის უკან, სურამში მომხდარი წყალდიდობაც იკმარებდა, რომელმაც ცხრა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაშ რა ემუქრება ამ პატარა, კოპწია სოფელს?

შეიძლება ბევრმა არც იცოდეს ლაშხევის შესახებ. ესაა ცოცხნარის ერთი უბანი, რომელიც სოფლის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებულია და, მე თუ მკითხავთ, დამოუკიდებელი სოფლის სტატუსიც უნდა ჰქონდეს. თუმცა, ამჯერად ეს მეორეხარისხოვანი თემაა.

ამ ორიოდე წლის უკან, ლაშხევის თავზე, ჩინურმა კომპანიამ, რიკოთის უღელტეხილზე, გვირაბების გაყვანის შედეგად გამოტანილი ბალასტის დაყრა სწორედ ამ სოფლის თავზე მდებარე სერზე დაიწყო. დღეისათვის აქ ათეულათასობით ტონა ბალასტია დაყრილი, რომელიც მთელი ძალით დააწვა სერს და ამ პატარა გორამაც, ბუნებრივია, ვერ გაუძლო ამ სიმძიმეს. თავდაპირველად,

მხოლოდ მცირე, მილიმეტრებისა თუ სანტიმეტრების ზომის ნაპრალები გაჩნდა, დღეს კი ეს ნაპრალები უკვე მეტრის სიგანისაა და კაცმა არ იცის, როდის დაიძრება სოფლისაკენ. არადა, რომ დაიძრება, სრულიად დილეტანტი და არაპროფესიონალიც კი მიხვდება, თუ იქაურობას დაათვალიერებს. რიგ ადგილებში უკვე პატარა გუბურებიც გაჩნდა და გაზაფხულის თუ შემოდგომის ერთი კოკისპირული წვიმა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 40
2023 წლის 7 სექტემბერი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge ;
4. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობისა და შეფასების თაობაზე.	ოქტომბერი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი.	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2023 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.	ნოემბერი	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ წყლისა და გამწვანების კომპანიის ანგარიში 2023 წლის 10 თვის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გაწეული საქმიანობის თაობაზე.	დეკემბერი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ წყლისა და გამწვანების კომპანიის დირექტორი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

- SOS -

ლაშხევი - სოფელი, რომელიც საშიშროების წინაშე დგას

(დასასრული)

შეიძლება სოფლის ტრაგედიად იქცეს. სრულებით არ გვინდა, რაღაც აპოკალიფსური სურათი დავხატოთ, მაგრამ სიტუაცია მართლაც საშიშია. ამ უბნის (თუ სოფლის) ცამეტი ოჯახი შიშით ელოდება ზამთარს, როდესაც თოვლის სიმძიმე, შემდეგ კი მისი ინტენსიური დნობა კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას. დიახ, ზომების მიღება ახლავეა საჭირო. უნდა მოვიწვიოთ კომპეტენტური სპეცილაისტები, გეოლოგები, რომლებიც შეაფასებენ რეალობას და მათი დასკვნისა და რეკომენდაციების მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ. ჩინური კომპანია დღესაც აგრძელებს სამუშაოებს და ყოველდღიურად ამ სერს კიდევ ასეულობით ტონა ბალასტი ემატება.

სამწუხაროდ, მსოფლიო მასშტაბით, კლიმატური ცვლილებების ფონზე, სტიქიური უბედურებები, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, უფრო მოიმატებს, ამიტომ აცდროარ ითმენს. ამ სოფელ და იქ მცხოვრებ ცამეტ ოჯახს, ახლავე უნდა მიხედვა, მითუმეტეს, რომ პატარა ხევის დასაწყისში მცხოვრებ ერთ-ერთ მოსახლეს ზემოაღნიშნული ნაპრალები უკვე ეზოს ღობესთან მიადგა. როგორც იტყვიან, ჯვარი სწერიათ მათ, მაგრამ ნუ დავუცდით ურმის გადაბრუნებას. როგორც ვიცით, ადგილობრივი ხელისუფლება უკვე საქმის კურსშია. მათ შესაბამის ორგანოებსაც აცნობეს ეს ფაქტი, თუმცა ჯერ-ჯერობით სათანადო რეაგირება არ მომხდარა. იმედია, სპეციალისტები

უახლოეს მომავალში შეისწავლიან სიტუაციას და პრევენციულ ზომებსაც გაატარებენ, რომ ლაშხევმა ჩვეულ რიტმში გააგრძელოს სიცოცხლე.

და ბოლოს: როდესაც ამ თემაზე ვმუშაობდით, უამრავ მასალას გავეცანით მეწყერზე თუ სხვა სტიქიებზე და ერთი დასკვნა გამოვიტანეთ: ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ცალკეულ სოფელს და თემს თუ არა, თითოეულ მუნიციპალიტეტს ჰყავდეს ერთი სპეციალისტი მაინც, რომელიც რეალურად შეაფასებს დასახლებული პუნქტის თუ მისი ცალკეული მონაკვეთების მდგრადობას.

და ერთიც: საქართველოს მთავრობის მიერ, დასახლებებისათვის გამოყოფილი სოფლის პროგრამების თანხები რიტუალების შენობების თუ წყაროების მოპირკეთებისათვის კი არა, ეგებ სოფლისთვის საშიში, სტიქიური ადგილების შესწავლის და შემდეგ მისი თავიდან აცილების პრევენციისათვისაც გამოვიყენოთ.

გოგი გოგოლაძე

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35)

17 დეკემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ფარსადან ბასილის ძე მუმლაძეს და სალომე ბუჭუას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ელიაზარი. 24 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები პავლე იოსების ძე მუმლაძე.

* * *

25 იანვარს, სოფ. ძველ ფლევში მცხოვრებმა მოსე გიორგის ძე ნოზაძემ (25) იქორწინა სოფ. ულუმბოში მცხოვრები გიორგი ლომიძის ასულ ტასიაზე (14). სიძის თავმდებნი სოფ. ძველ ფლევში მცხოვრებნი თედო წყალობას ძე ნოზაძე, ივანე მაქსიმეს ძე კაპანაძე და სოფ. ალში მცხოვრები ლევან პეტრეს ძე ნოზაძე. სასძლოს თავმდებნი - სოფ. ნინისში მცხოვრებნი ვახტანგ ბერის ძე ტეფნაძე, ბერო ივანეს ძე ხარაიშვილი და ძველ ფლევში მცხოვრები ეფრემ გიორგის ძე ტეფნაძე.

* * *

15 მარტს, გარდაიცვალა სოფ. ბროლოსანში მცხოვრები ანჯიკო შაქარას ძე მუმლაძე, 25 წლის, სივსივნისაგან.

1878

9 იანვარს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ბეჟან პავლეს ძე მუმლაძეს და მაია დავითის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ნატალია. 17 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ბუჭუა მუმლაძის მეუღლე ელენა პაპუნას ასული.

12 იანვარს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ყარამან გრიგოლის ძე მუმლაძეს და მაია გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეკატერინა. 20 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები პავლე ზაქარიას ძე მუმლაძე.

22 აპრილს, სოფ. ბროლოსანში გიორგი ნასყიდას ძე სულაბერიძეს და სოფია სოლომონის ასულს შეძინათ ქალიშვილი თებრონია. 30 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები იოსებ გელაშვილის მეუღლე ევდოკია მერაბის ასული.

2 მაისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ თომა კვირიას ძე გელაშვილს და ხათუნა სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იულონი. 10 მაისს მონათლეს. მიმრქმელები - სოფ. ულუმბოში მცხოვრები მაქსიმე ოქროას ძე ხარაიშვილი.

7 მაისს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ნიკოლოზ ივანეს ძე ლომიძეს და მაია ლევანის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ისაია. 15 მაისს მონთლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ნაყიდა მურმანის ძე სულაბერიძე. 12 მაისს, სოფ. ნინისში მცხოვრებ დიმიტრი გიორგის ძე ტაბატაძეს და მელანია ფარსადანის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სტეფანე. 20 მაისს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები იოსებ მერაბის ძე ლომიძე.

7 ივნისს, სოფ. ნინისში მცხოვრებ გიორგი პავლეს ძე ლომიძეს და ვარდო ესტატეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 15 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი - ნიკოლოზ ფარსადანის ძე სულაბერიძე.

8 ივლისს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ თევდორე გიორგის ძე გაფრინდაშვილს და მაია სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მიხეილი. 26 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ამბაკო ლაზარეშვილის მეუღლე ტურფა იოსების ასული.

22 ივლისს, სოფ. ბროლოსანში პავლე შაქარას ძე მუმლაძეს და მაია გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟშვილი ალექსანდრე. 30 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ივანე ღვთისიას ძე მუმლაძე.

1 აგვისტოს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ვასილ ივანეს ძე მაზისშვილს და ელენე სვიმონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 8 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი - შორაპნის მაზრის სოფ. ბოგვში მცხოვრები ივანე ყარამანის ძე ნოზაძე. 9 სექტემბერს სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ფარსადან ივანეს ძე შუკაკიძეს და ევა ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეფროსინე. 17 სექტენბერს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები უფლისა ნასყიდას ძე სულაბერიძე.

25 ოქტომბერს, სოფ. ულუმბოში მცხობრებ მღვდელს ალექსი კევლიევს და ანასტასია საბას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი კონსტანტინე. 13 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი - „ზემლირეი თბილისის სუდების პალატის, ნადვორნი სოვეტნიკი“ სვიმონ მოისეიჩ ლიაშენკო და სოფ. ალში მცხოვრები სარქის ყულოს ძე ყულიჯანოვი

* * *

12 ნოემბერს, სოფ. ნინისში მცხოვრებმა ვასილ ივანეს ძე სტეფნაძემ (17) იქორწინა სოფ. ლომისაში მცხოვრებ ზურაბ ლაზარეშვილის ასულ სოფიოზე(-). სიძის თავმდები - სოფ. ნინისში მცხოვრებნი თედორე გრიგოლის ძე სტეფნაძე, ნიკოლოზ ფარსადანის ძე სულაბერიძე და იოსებ გიორგის ძე ლომიძე. სასძლოს თავმდებნი - სოფ. ლომისაში მცხოვრებნი ყარამან გიორგის ძე გაფრინდაშვილი, ივანე თევდორეს ძე ხარაიშვილი და ხარიტონ ვასილის ძე გელაშვილი.

* * *

14 ივნისს, სოფ. ულუმბოში გარდაიცვალა ოქრუა ხარაიშვილის მეუღლე ელენა პაატას ასული, 37 წლის, მჭვლისაგან .

20 ივნისს, სოფ. ულუმბოში გარდაიცვალა მიხეილ გელაშვილის მეუღლე ნატალია ვასილის ასული, 21 წლის, ჭლექისაგან.

1879

22 იანვარს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ გარსევან პავლეს ძე მუმლაძეს და მარინა ფარსადანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეფროსინა. 30 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი - შორაპნის მაზრის სოფ. ამაშუკეთში მცხოვრები გიორგი ივანეს ძე ბარბაქაძე.

13 თებერვალს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ზურაბ ივანეს ძე ლაზარეშვილს და მარინე გრიგოლის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ნიკოლოზი. 20 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ალში მცხოვრები სვიმონ სარქისის ძე ყულიჯანოვი. 17 თებერვალს, სოფ. ნინისში მცხოვრებ ნიკოლოზ ფარსადანის ძე სულაბერიძეს და ანასტასია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ნინა. 24 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები თევდორე გრიგოლის ძე სტეფნაძე

11 მარტს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ლასო პეტრეს ძე გელაშვილს და ტასია პეტრეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეკატერინა. 16 მარტს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ბროლოსანში მცხოვრები დავით მოსეს ძე გაგნიძე.

19 მარტს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ გიგო პეტრეს ძე კაპანაძეს და სუსანა თევდორეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეფროსინა. 29 მარტს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ალში მცხოვრები მალაქია ლევანის ძე ლომიძე

15 აპრილს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ანბაკო ზურაბის ძე ლაზარეშვილს და ტურფა გრიგოლოს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სვიმონი. 23 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ალში მცხოვრები მღვდლისშვილი სარდიონ სპირიდონის ძე მაჭაროვი.

5 აპრილს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ გარსევან სვიმონის ძე სტეფნაძეს და მელანია გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 24 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი -ამავე სოფელში მცხოვრები სვიმონ ანდრიას ძე შუბითიძე.

3 მაისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ უფლისა ნასყიდას ძე სულაბერიძეს და ეფემია კაციას ასულს შეძინათ ვაჟიშვილი გედევანი. 12 მაისს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ტკოცაში მცხოვრები ზურაბა გაბრიელის ძე გრიგალაშვილი

5 მაისს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ მერაბა ივანეს ძე ხარაზიშვილს და ელისაბედ გლახას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 13 მაისს მონათლეს. მიმრქმელი ამავე სოფელში მცხოვრები ხარიტონ ვასილის ძე გელაშვილი.

20 ივლისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ სიკო ზურაბის ძე მუმლაძეს და სეფორა გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსქნდრე. 28 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი -- ამავე სოფელში მცხოვრები სოლომონ იორდანეს ძე მუმლაძე.

10 აგვისტოს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ მედავითნეს ლუკა სვიმონის ძე მალიძეს და მანიჟან იოსების ასულს შეეძინათ ქალიშვილი ევდუქსია. 20 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ივანე კაპანაძის ცოლი ზეხათუნ გიორგის ასული.

17 აგვისტოს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ლევანა ანდრიას ძე მუმლაძეს და როდამ სოფრომის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 26 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ლევანა მუმლაძის ასული ვარდო

9 სექტემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ლევან სვიმონის ძე მუმლაძეს და ტასია გლახოს ასულს შეეძინათ ქალიშვილი მართა. 14 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ალექსი გლახას ძე მუმლაძე

16 სექტემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ალექსი გლახას ძე მუმლაძეს და ანუსია დავითის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 24 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ახალლუბანში მცხოვრები სვიმონ ფარსადანის ძე ნოზაძე

14 სექტემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მაქსიმე ოქრუას ძე ხარაზიშვილს და ელისაბედ სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სვიმონი. 26 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ქინძათში მცხოვრები ივანე იოსების ძე ნოზაძე

13 ოქტომბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ივანე ვასილის ძე გზირიშვილს და მაია დავითის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ეფემია. 28 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები ნიკოლოზ ჩინჩალაძის ცოლი ნატალია ივანეს ასული

11 ნოემბერს, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებ მაქსიმე ნიკოლოზის ძე მეგრელიშვილს და ხათუნა ზურაბის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ივანე. 19 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი - ამავე სოფელში მცხოვრები სპირიდონ ფარსადანის ძე წიქარიშვილი

29 ოქტომბერს, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრებ ესტატე გაბრიელის ძე მუმლაძეს და მაია პავლეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სოკრატა. 21 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ავლევში მცხოვრები გენერალ-მაიორი თავადი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბი.

18 ნოემბერს, სოფ. ნინისში მცხოვრებ იოსებ გიორგის ძე ლომიძეს და ნინო იოსების ასულს შეეძინათ ქალიშვილი დარია. 26 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. კოდაში მცხოვრები ალექსი პაპიაშვილის ცოლი ნატალია ფირანის ასული.

15 დეკემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ქოჩო თევდორეს ძე მუმლაძეს და ასინათე იოსების ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 25 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები პავლე დავითის ძე მუმლაძე

30 ნოემბერს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ეგნატე ვასილის ძე გელაშვილს და პელაგია ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი რომანოზი. 25 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ქინძათში მცხოვრები ნიკოლოზ პეტრეს ძე ნოზაძე.

19 დეკემბერს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ პავლე ივანეს ძე ხარაზიშვილს და ქეთევან იოსების ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დავითი. 27 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ტკოცაში მცხოვრები ალექსი გრიგოლის ძე გრიგალაშვილი.

13 დეკემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მაქსიმე მიხეილის ძე კურტანიძეს და ანუსია მერაბის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ევა. 27 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები არტია ბარბაქაძის ცილი მარიამ იოსების ასული.

20 დეკემბერს, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებ გიორგი ნიკოლოზის ძე მუმლაძეს და მარინე სვიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მარკოზი. 28 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრები გიორგი მუმლაძის ასული ანუსია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

“ყველა ქართული გუნდის გამოთიშვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენა იყო”

- ინტერვიუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ დამფუძნებელთან, დავით კვინიკაძესთან.

დამოუკიდებელ ფეხბურთის ფედერაციას, ცხადია, ჰყავდა თავისი დამფუძნებლებლები. ერთ-ერთი კი ჩვენი თანამემამულე დავით კვინიკაძეა, რომელსაც ლეგენდარულ, ნოდარ ახალკაცთან ერთად საქართელოს ფეხბურთის ფედერაციის შემდგომ საქმიანობაში ლომის წვლილი მიუძღვის. იგი 1990-98 წლებში სფფ-ს პირველი გენერალური მდივანი გახლდათ.

რა გზა გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნებამდე , რატომ გააუქმა ფეხბურთში სპორტული წოდებები და ბევრ სხვა უცნობ თემაზე, დავით კვინიკაძე ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს.

- სწავლა, სამსახური...

- 1958 წელს დავამთავრე რკინიგზის ხაშურის მე-12 საშუალო სკოლა. 1972 წლამდე ვსწავლობდი საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ პერიოდში ვთამაშობდი ფეხბურთს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში.

1970 წელს, ოჯახით, საცხოვრებლად გადავედი თბილისში, 1978 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში ჯერ ფეხბურთის სამმართველოში უფროს ინსტრუქტორად, შემდეგ კი საორგანიზაციო სამმართველოს უფროსად. ფეხბურთის სამმართველოში მე მიწევდა საქმიანობა ცნობილ საფეხბურთო პიროვნებებთან - ნოდარ ახალკაცთან, ავთანდილ ჭკუასელთან, გიორგი ბაქანიძესთან, ნიაზ ძიაპშიპასთან, ანდრო ზაზროევთან, გივი ჩოხელთან, კარლო ყრუაშვილთან, ნიკა ამირეჯიბთან, უშანგი ფურცელაძესთან,

ემზარ სარალიძესთან ერთად. გვქონდა მძიმე სამუშაო პირობები, ვსაქმიანობდით სულ ორ ოთახში, მაგალითად ნოდარ ახალკაცს და მე ერთი საწერი მაგიდა გვქონდა, ზოგს დასაჯდომი სკამიც კი არ გააჩნდა.

საორგანიზაციო სამმართველოში მუშაობისას ურთიერთობა მქონდა სპორტულ სასწავლებლებთან, სპორტულ საზოგადოებასთან და სპორტკომიტეტებთან. ამ პერიოდში დამიგროვდა დიდი გამოცდილება, რაც ძალიან გამომადგა განათლების სამინისტროში 1978-87 წლებში მუშაობის პერიოდში. ეს დრო მართლაც ნაყოფიერი იყო ჩემს საქმიანობაში. ჩვენ შევძელით ფიზკულტურის გაკვეთილების საათების გაზრდა, ყოველდღიურად, დილით ცხრისნახევარზე და სამი გაკვეთილის შემდეგ, რესპუბლიკის ყველა საგანმანათლებლო სკოლაში საქართველოს რადიოს პირველი პროგრამით გადაიცემოდა სპეციალური გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება სპორტულ მიმართულებას, მთლიანად შევცვალეთ სპორტული პროფილის ინტერნატის ინფრასტრუქტურა, ინტერნატი გავწმინდეთ შემთხვევით მოხვედრილი მოსწავლეებისგან და მთლიანად დავაკომპლექტეთ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატებით, რათა მათ მისცემოდათ ყოველდღიური ორჯერადი, ხშირად კი სამჯერადი ვარჯიშების შესაძლებლობა, სათანადო კვებით და აღდეგენითი საშუალებებით.

70-იანი წლებისა და 80-იანი წლების დასაწყისში, მოხერხდა შექმნილიყო, თბილისში და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, სპორტული პროფილის ოლიმპიური რეზერვების სკოლების გახსნა ფეხბურთში, კალათბურთში, ტანვარჯიშში, ხელბურთში, კრივში, ცხენოსნობაში, ჭადრაკში, ჭიდაობაში, ჩოგბურთში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მიშა მესხი, გიორგი სიჭინავა, ოთარ ქორქია, ნელი სალაძე, ნანა ალექსანდრია, რუსიკო სიხარულიძე, როზა ბერიკაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, თემურ კაკულია... ძალიან რთული და საინტერესო იყო მათთან ურთიერთობა, რაც ჩემგან სპორტის ცალკეული სახეობების ცოდნასთან ერთად, სათანადო საერთო განათლებასა და ურთიერთობების ფორმების დაცვასაც მოითხოვდა.

ცალკე აღსანიშნავია კალათბურთისა და ფეხბურთის პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაარსება, რომელსაც საბჭოთა კავშირში ანალოგი არ ჰქონდა. განსაკუთრებით გაძნელდა კალათბურთის პროფილის სკოლის გახსნა იმიტომ, რომ საკალათბურთო ბაზები ვერის ბაღის ტერიტორიაზე იყო განლაგებული, სკოლა კი ამ ტერიტორიაზე სომხური იყო და გასაგებ მიზეზთა გამო, გაძნელდა მისი გაუქმება და სომეხი ბავშვების სხვა სკოლებში გადანაწილება.

მოსწავლეთა სპორტისთვის ასეთი მიდგომა, ცხადია, დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ჩვენ შევძელით, რომ დაახლოებით 10-ჯერ გაგვეზარდა დაფინანსება, და რაც მთავარია, მოვახერხეთ ჩამოგვეყალიბებინა ახალგაზრდული სპორტის მართვის სწორი სისტემა, რაც, უწინარესად, გულისხმობს ბალანსის დაცვას სპორტული და მარკენტიგულ მიმართულებებს შორის. ასეთი ბალანსის დაცვა აუცილებელია ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის. სხვანაირად წარმატების მიღწევა, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

იმ პერიოდში, მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებას დიდათ შეწყო ხელი განათლების მინისტრის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის, ოთარ ქინქლაძის და მისი მოადგილეების, ნუგზარ ფოფხაძის, ზურაბ ლომიძის და მამია დარჩიას სპორტის მიმართ განსაკუთრებულმა თანადგომამ.

სამწუხაროდ, 80-იანი წლების ბოლოს, განათლების სამინისტროში შეიცვალა ხელმძღვანელობა, სერიოზული ავადმყოფობის გამო (90 დღე სტაციონალურად ვმკურნალობდი) მეც მომიწია სამსახურის დატოვება. ქვეყანაში სხვა მოვლენების გააქტიურებამ ბევრ სფეროში, მათ შორის სპორტშიც, ძირფესვიანად შეცვალა ვითარება და თანდათანობით იკლო მოსწავლეთა სპორტისადმი ყურადღებამ.

- თქვენი შემდგომი საქმიანობა დაკავშირებულია ფეხბურთის ფედერაციასთან. საინტერესოა გაიხსენოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნებასთან დაკავშირებული პერიპეტიები. ცნობილია, რომ თქვენ მაშინდელი პრესა ირონიულად მოგიხსენიებდათ ყრილობის „რეჟისორად“, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ყრილობა ჩატარდა დარღვევებით და ეს ყველაფერი თქენი ბრალი იყო, ყრილობაც წართმათეთ ისე, რომ თქვენ ოპონენტებს არ აძლევდით ოპოზიციური აზრის გამოთქმის შესაძლებლობას და ა.შ.

- მოგეხსენებათ, რომ 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში სერიოზული სახე მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, დაიწყო ხალხმრავალი მიტინგები, რომლის საბოლოო მოთხოვნა გახდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ცხადია, ამ პატრიოტულ საქმეში სპორტის სფეროსაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. დავიწყეთ შეხვედრები და საუბრები დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნის თაობაზე. ცნობილმა სპორტულმა კინო რეჟისორმა, ალეკო ჟღენტმა, გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, იყო საინტერესო გამოხმაურებებიც, მაგრამ ყოველივე ეს სპონტანურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ 1989 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი 25 კაცის შემადგენლობით, რომელიც დაკომპლექტებული იყო, როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგან, ასევე საფეხბურთო მუშაკებისგან. მისი მოვალეობა გახლდათ უახლოესი პერიოდისათვის საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მომზადება და ჩატარება. ამ კომიტეტის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. ჩვენ ჩავატარეთ ძალიან ნაყოფიერი მუშაობა და 1990 წლის 15 თებერვალს, თბილისში, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. მეამაყება, რომ მე ვიყავი ამ ყრილობის თავჯდომარე. თანათავჯდომარენი იყვნენ დიდი ბორის პაიჭაძე, ხელისუფლების მხრიდან - ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი; პროფესორი, ომარ გოგიაშვილი, ეროვნული მოძრაობიდან კი ცნობილი ქართველი დისიდენტი, ავთანდილ იმნაძე.

არასდროს დამავიწყდება ის დიდი ემოცია და ამაღლებული გრძნობა, რომელიც მე განვიცადე ყრილობის გახსნის ორწუთიანი სიტყვით გამოსვლისას.

ყრილობა მართლაც ძალიან დიდი ვნებათაღელვით ჩატარდა, იყო მისი ჩაშლის მცდელობები, როგორც დარბაზის გარედან (ჩაამტვრიეს ფანჯრები, შეეცადნენ



დარბაზში შემოჭრას), ასევე დარბაზშიც.

თავდაპირველად იყო პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი, მაგრამ ბოლოს დარჩნენ ორნი - ნოდარ ახალკაცი და შესანიშნავი ვეტერანი ფეხბურთელი და კარგი ადამიანი, აწგარდაცვლილი კახი ასათიანი. ყველაფერი გადაწყდა მას შემდეგ, რაც ნოდარმა წარმოსთქვა, როგორც პატრიოტული კუთხით, ასევე პროფესიული საფეხბურთო თვალსაზრისით, ნამდვილად ბრწყინვალე სიტყვა, ბატონმა კახიმ დარბაზი დატოვა და კენჭისყრა მხოლოდ აუცილებელ ფორმალობას წარმოადგენდა. უფრო წინააღმდეგობრივი იყო მეორე საკითხი, საქართველოს ყველა გუნდის გამოყოფა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან. ბევრი ამას ნაადრევად მიიჩნევდა, მაგრამ ჩვენმა მხარემ შეძლო ამ პოზიციის სისწორის დასაბუთება და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ, თბილისის „დინამოს“ ჩათვლით, ყველა ქართული გუნდი გამოთიშოდა საკავშირო პირველობას.

ყრილობაზე იმიტომ ვამახვილებ ამდენ ყურადღებას, რომ კომუნისტური წყობის პირობებში, დამოუკიდებელი ფედერაციის დაფუძნება და ყველა ქართული გუნდის გამოთიშვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან , თავისი შინაარსითა და არსით, არამხოლოდ სპორტული, არამედ დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენა იყო, რის შესახებაც აღნიშნავდა კიდეც იმდროინდელი მსოფლიოს პრესა და ტელევიზია.

მიუხედავად ახლადშექმნილი ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ აგორებული კამპანიისა (იყო უსაფუძვლო კრიტიკული გამოსვლები ტელევიზიებში, პრესაში), ჩვენ შევძელით ორ-სამ თვეში თითქმის ყველა ვეტერანი ფეხბურთელის ფედერაციაში, ან მის საზოგადოებრივ კომიტეტებში და საფეხბურთო კლუბებში დასაქმება. ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული პირველი ეროვნული ჩემპიონატის

გახსნის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთის“ მონაწილეობით. გულშემატკივრებს მიესალმა სრულიად საქართველოს პატრიარქი, ილია მეორე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ზვიად გამსახურდია. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელები და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები, ასევე ჩვენი ქვეყნის ხელოვნების წამყვანი საშემსრულებლო დასები და ცალკეული პიროვნებები.

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ უარი თქვით სახელმწიფო დაფინანსებაზე, ფიფა-უეფადან დახმარებები კი მოგვიანებით 2000 წელს დაიწყო. საინტერესოა როგორ ახერხებდით ფედერაციის ნორმალურ ფუნქციონირებას?

- სფფ-მ , როგორც დამოუკიდებელმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, შეგნებურად ვთქვით უარი სახელმწიფო დაფინანსებაზე ერთი მიზეზით, ხომ იცი, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, ჩვენ კი არ გვინდოდა ხელისუფლება და სახელმწიფო უწყებები ჩარეულიყვნენ ფედერაციის საქმიანობაში. ჩვენი შემოსავალი პირველ ორ წელს, ვიდრე ფიფა-უეფას წევრები გავხდებოდით, იყო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების საწევრო შენატანები, მაგრამ ეს მიზერული თანხა ჩემპიონატის ჩატარებასაც არ ჰყოფნიდა. ძირითადი ფული კი იყო კერძო კომპანიებიდან და ახლობელი პირებისგან შემოწირული თანხა. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ნოდარ ახალკაცი ახლოს იცნობდა ჩვენს საყვარელ პატრიარქს და ფედერაციის დაფუძნებისთანავე სთხოვა მას ჩაერიცხა ფეხბურთის ფედერაციისთვის თუნდაც სიმბოლური თანხა. პატრიარქი დიდხანს ესაუბრა ნოდარს და მეორე დღეს ფედერაციის ანგარიშზე გადმორიცხა „სიმბოლური“ თანხა 100 000 მანეთის ოდენობით, რაც დღევანდელ მილიონ ლარს მაინც უდრის.

საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში გაწევრიანების შემდეგ კი ჩვენი ძირითადი შემოსავალი მსოფლიოსა და ევროპის პირველობების კალენდარული მატჩების ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხა იყო, რაც წელიწადში მილიონ დოლარს აჭარბებდა. აქ ერთი მომენტია აღსანიშნავი: რაც უფრო ძლიერი საფეხბურთო ქვეყნები გვხვდებოდა, მაგალითად გერმანია, იტალია, ინგლისი, მით უფრო დიდი იყო შემოსავალი, ხოლო მეორე ეშელონის გუნდების ტელეტრანსლაცია სულ რამდენიმე ათასი, ვთქვათ 50 000 ღირდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ კენჭისყრის დრო ვლოცულობდით ძლიერი გუნდები მოხვედრილიყვნენ ჩვენს ჯგუფში, კაცმა რომ თქვას არც პორტუგალიის, დანიის, შვეიცარიის და მათი დონის გუნდებთანაც არ გვქონდა ჯგუფიდან ფინალურ სტადიაში გასვლის დიდი შანსი. ქართველმა გულშემატკივრებმა ეს ნიუანსი არ იცოდნენ და ნატრულობდნენ სუსტ ჯგუფში მოვხვედრილიყავით!

1994 და 1996 წლებში, ჩვენი ეროვნული, ახალგაზრდული ნაკრებ გუნდები და ცალკეულ კლუბები წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ცხადია, შეიძლებოდა უკეთესიც, თუ მეტი გამოცდილება გვექნებოდა, მეტი პატრიოტიზმი. არ ვიცი, ვთქვა, თუ არა, ნამდვილად არ ვიცი. ზოგიერთი ჩვენი ლეგიონერი ხშირად თავს არიდებდა ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსვლას, გვეშინია კლუბში ძირითადი შემადგენლობიდან არ ამოვვარდეთო. ერთმა განაწყენებულმა უცხოეთიდან ჩემთან ტელეფონის ლაპარაკის თანხის ანაზღაურებაც მომთხოვა სულ რაღაც 10 დოლარამდე. ეს მაშინ, როდესაც ხორვატიის ნაკრები გუნდის ლეგიონერი ფეხბურთელები: შუკერი, ბობანი, იარნი, ბილიჩი და სხვები არა თუ პრემიებს და მგზავრობის თანხებს ითხოვდნენ, არამედ წლების განმავლობაში მთლიანად მათი გადმორიცხული თანხით არსებობდა ხორვატიის ფეხბურთის ფედერაცია. მათ 1998 წლის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს. ამ ფაქტის შესახებ მე პირადად მითხრა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა, ივო შუშაკმა, რომელიც 1998 წლის ხორვატიის ნაკრები გუნდის მეორე მწვრთნელი იყო.

ფედრაციის დაარსების პირველივე წელს, ჩემი ინიციატივით, გავაუქმეთ ფეხბურთში არა მხოლოდ სპორტული თანრიგების, არამედ, სპორტის ოსტატის, დამსახურებული მწვრთნელის წოდებები. თავიდან იყო წინააღმდეგობაც, მაგრამ ჩემი აზრის განსამტკიცებლად მომყავდა ის ფაქტიც, რომ არც პელე და არც მარადონა არ ყოფილან სპორტის დამსახურებელი ოსტატები და არც ფეოლა და მენოტი იყვნენ შესაბამისად ბრაზილიისა და არგენტინის დამსახურებული მწვრთნელები. დღეს ასეთი სპორტული წოდებები სპორტის არცერთ სახეობაში აღარ არსებობს. არ მომწონს სხვადასხვა სამთავრობო ჩინ-მედლებით დაჯილდოებები, ეს ადამიანთა ხელოვნურ დახარისხებად მეჩვენება. ხალხი კი არ იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს, არამედ რამდენიმე კაცი, ხშირად პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

მშვენიერია, როდესაც სახელობითი პრემიებია დაწესებული, ვთქვათ, რუსთაველის, ჭავჭავაძის, გოგებაშვილის და სხვა. საქართველოში გამოჩენილი სპორტსმენების სახელობის სპორტული ბაზებიც არსებობენ, მაგალითად, გაფრინდაშვილის, პაიჭაძის, ჩოხელის, შენგელიას, სტეფანიას, კარტოზიას, პეტრიაშვილის და ა.შ. სასიხარულოა, რომ ჩვენი ქალაქის სტადიონი გამოჩენილი ფეხბურთელის და მწვრთნელის, გრიშა ჯომართიძის სახელს ატარებს, რაშიც ცოტა წვლილი მეც მაქვს შეტანილი, ვინაიდან ხაშურის მაშინდელი ხელმძღვანელობა ამ საქმეს ცოტა სხვანაირად უყურებდა და სხვა კანდიდატიც ჰყავდათ შერჩეული.

დაწესებულებებისთვის ცნობილი, დამსახურებული ადამიანების სახელების მინიჭება იმდენად მომწონს, რომ გავკადნიერდები და ვიტყვი, ძალიან გამიხარდებოდა რკინიგზის მე-12 სკოლას გიორგი ტაბატაძის, რკინიგზის მე-13 სკოლას ალექსანდრე ხუროძის, ბავშვთა სახლს ქეთევან დავითაშვილის, რკინიგზის კულტურის სასახლეს პეტრე გრუზინსკის სახელი რომ ჰქონდეს მინიჭებული.

ცხადია, ჩვენს რაიონში სხვა ბევრის სახელთა უკვდავყოფად კარგი საქმე იქნებოდა. ვიცი, ზედმეტს ვიღებ ჩემს თავზე და ამ საქმეს მე არავინ მეკითხება, მაგრამ აზრის გამოთქმის უფლება ყველას გვაქვს.

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ფედერაციას თავდაპირველად ბევრი წინააღმდეგობები ხვდებოდა. ამის შესახებ თქვენ გაკვრით ზემოთ ილაპარაკეთ. დეტალურად რამდენიმე მომენტს ხომ არ გაიხსენებდით?

- საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების (ფიფა-უეფა) ოფიციალურ აღიარებამდე ჩვენს ნაკრებსა თუ ცალკეულ კლუბებს ეკრძალებოდათ საერთაშორისო თამაშებში (მათ შორის ამხანაგურებში) მონაწილეობა, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა მათი სპორტული დონის ამაღლებაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს გუნდები, ორი წლის შემდეგ, არცთუ ცუდად გამოვიდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში, წარმატებები ჰქონდათ ევროპულ საკლუბო ტურნირებში ჩვენს გუნდებს, განსაკუთრებით თბილისისა და ბათუმის “დინამოელებს”. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ფედერაციას დახმარება არ მიუღია არც სახელმწიფოსაგან და არც ფიფა-უეფასაგან. პირიქით, საქმიანობაში ხელის შეშლა არცთუ იშვიათი მოვლენა იყო. მაგალითად - საქართველოს ეროვნული და ნაკრები გუნდების პირველი გასვლითი ოფიციალური თამაშის ჩასატარებლად, ბულგარეთში გამგაზვრების დღეს, აეროპორტში არ დაგვხვდა ჩვენს მიერ დაქირავებული ჩარტერული რეისის თვითმფრინავი (საწვავს მეგობრების დახმარებით ჩვენ ვშოულობდით), გამგზავრება შესაძლებელი გახდა რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ, ისიც შედარებით მცირე ზომის თვითმფრინავით, რის გამოც დელეგაციის რამდენიმე წევრი თბილისში დარჩა. ვერ მოვასწარით ვარჯიშის ჩატარება, მთლიანად დაგვერღვა კვებისა და დასვენების ყველანაირი რეჟიმი. იმ დღეს კი ფედერაციის შესამოწმებლად ჩვენს ოფისში, გაფრთხილების მიუხედავად, მივიდა სამთავობო კომისია, რომელიც ფედერაციაში დარჩენილმა თანამშრომლებმა ლანძღვა-გინებით გამოყარეს შენობიდან. იყო სხვა ცუდად გასახსენებელი შემთხვევებიც, თუმცა მათი გახსენება დღეს არ ღირს.

უბრალოდ ვერ იტანდნენ იმას, რომ ფედერაციაზე, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, სამთავრობო სტრუქტურების გავლენა ფიფას კანონებით გამორიცხული იყო.

- საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ისტორიული შედეგი დააფიქსირა. ახალგაზრდა „ჯვაროსნებმა“ „სიკვდილის ჯგუფიდან“ გასვლა მოახერხეს და დაამარცხეს ისეთი საფეხბურთო გრანდები, როგორებიცაა: პორტუგალია და ბელგია, ნიდერლანდებს კი ფრედ ეთამაშნენ. რით შეიძლება აიხსნას ასეთი კარგი შედეგი?

- ბევრი მომენტია გასათვალისწინებელი. ეს ახალგაზრდები უკვე დიდი ხანია ერთად მოდიან, აღსანიშნავია ისიც, რომ საფეხბურთო აკადემიები, მაგალითად, „დინამო თბილისი“, “საბურთალო“, თბილისის „ლოკომოტივი“ უფრო გამართულად მუშაობენ. ხაზი უნდა გაესვას ახალგაზრდა მწვრთნელის, რამაზ სვანაძის ნაყოფიერ მუშაობას, რომელმაც ტურნირის პერიოდში, შეიძლება ითქვას მაქსიმალურად შეძლო გუნდის მობილიზება და ცალკეულ თამაშებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება. არ უნდა გამოვრიცხოთ საშინაო კედლების უპირატესობის ფაქტორი და შემთხვევიბობები. განსაკუთრებით ძლიერი იყო დაცვის ხაზი, თუმცა შეტევის და ნახევარდაცვის რგოლებს შორის კავშირიც არ იყო დასაწუნი.

- ქართული საკლუბო ფეხბურთი ევროპაში ერთ-ერთი სუსტია. ქართული გუნდები ყოველ წელს ევროტურნირებზე წარუმატებლად ასპარეზობენ და საკლუბო რეიტინგში ფარერები და მალტაც კი გვისწრებს, რომელთაც დიდი საფეხბურთო ტრადიცია არც კი ჰქონიათ. რა არის მთავარი პრობლემა?

- ქართული ფეხბურთის დღევანდელი მთავარი პრობლემა პირველ რიგში, ფინანსებსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას უკავშირდება. განსაკურებით აღსანიშნავია ჩვენს გუნდებში სატრანფერო პოლიტიკის არასწორი წარმართვა. ახალგაზრდულ ასაკში ვყიდით საფეხბურთო ტალანტებს, მაგალითად, წარმოუდგენელი იყო ამ პერიოდში გაბრიელ სიგუას ტრანაფერი... ასე ხდებოდა: ლევან ყენიას, გიორგი ჩაკვეტაძეს, ხვიჩა კვარაცხელიას, ზურიკო დავითაშვილის და ბევრ სხვათა შემთხვევაშიც, არადა 2-3 წლით, რომ შეგვენარჩუნებინა ეს ფეხბურთელები, მათი ტრანსფერიც მეტი ეღირებოდა და შესაბამისად გაიზრდებოდა კლუბის ბიუჯეტი, ასევე შესაძლებელი გახდებოდა უფრო საინტერესო უცხოელი ფეხბურთელების მოწვევა.

დღევანდელი ლეგიონერების დონის ფეხბურთელები რამდენიც გინდა იმდენი გვყავს საქართველოში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბრაზილიის შემდეგ ყველაზე მეტი ლეგიონერი საქართველოს ჰყავს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ ეს ბიჭები აქ რომ თამაშობდნენ, რა დონის ჩემპიონატი გვექნებოდა... ვიმეორებ, ბევრ სხვა პრობლემებთან ერთად, გუნდებში მისახედია სატრანსფერო პოლიტიკა.

- საქართველოს ჩემპიონატში მაყურებელთა დასწრება ძალიან მცირეა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს. შედეგად ვიღებთ ამ მდგომარეობას - ფეხბურთი გულშემატკივრების გარეშე. რაში მდგომარეობს პრობლემის არსი?

- პირველ რიგში, სტადიონზე გულშემატკივრებს იზიდავს ძლიერი ფეხბურთელები. დღეს ვის სანახავად უნდა მივიდეს სტადიონზე მაყურებელი?! აღარაფერს ვამბობ სტადონზე ოჯახებით სიარულზე... ამის დადასტურებაა ის, რომ ეროვნული ნაკრების თამაშებზე ჩვენი ახალგაზრდა ვარსკვლავების სანახავად ძალიან ბევრი მაყურებელი დადის.

- მოდით, ხაშურის „ივერიის“ დღევანდელობაზე ვისაუბროთ... ჩვენი რაიონიდან ახალგაზრდა თაობის გადინება ხდება და გუნდში კიდევ სხვა უამრავი პრობლემებია...

- გუნდის ფუნქციონირებაში და მის განვითარებაში მთავარი როლი ეკისრება ფინანსებს და მის სწორ გამოყენებას, ცხადია, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასაც. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ივერიაში“ ამ მხრივ მდგომარეობა ძალიან მძიმეა. თორემ ხაშურლები არც ნიჭიერი თაობის ნაკლებობას განიცდიან და მწვრთნელთა კორპუსიც შესაფერისია. ცალკეული ადამიანების ენთუზიაზმითა და ძალისხმევით სერიოზული შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

- როგორია თქვენი დღევანდელი დამოკიდებულება ხაშურის მიმართ?

- ვამაყობ, რომ ვარ ნაღდი ხაშურელი. თბილისში ჩემი საქმიანობის პერიოდში ჩვენს რაიონს, როგორც განათლების, ასევე სპორტის მიმართულებით ყოველთვის მაღალი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიუკური, თუ ინტელექტუალური დახმარება ჰქონდა. მოხერხდა, რომ რამდენიმე სკოლას შეუნარჩუნდა სტატუსი, ხაშურის „ივერია“ წარმატებით გამოდიოდა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. რაც შეეხება პიროვნულ დახმარებებს, ამის შესახებ საუბარს არც მათ ვაკადრებ, არც ჩემს თავს და არც მკითხველს.

გიორგი გელაშვილი

“ჩემი გვარიდან არავინაა მხატვარი... უფლის ნება იყო, მე რომ ხატვის ნიჭი გამომყოლოდა” - თვითნასწავლი მხატვარი ხაშურიდან, რომელი საოცრად რეალისტურ ნამუშევრებს ქმნის

თვითნასწავლმა მხატვარმა გიორგი ღამბარაშვილმა პანდემიის დროს, სიცხიანმა ტილო “ქლიავები“ შექმნა, რომელსაც სოციალურ ქსელში დიდი აღფრთოვანება მოჰყვა... ვინაიდან გიორგი ღამბარაშვილს ძალიან ბევრი საინტერესო ნამუშევარი აქვს, თვითნასწავლ მხატვარს მის შემოქმედებაზე ვესაუბრეთ....

- თვითნასწავლი მხატვარი ვარ... დავიბადე ხაშურში 1989 წელს, ხატვა პატარაობიდან მიყვარდა, სულ ვხატავდი, დავდიოდი ხატვაზე შუქ-ჩრდილების უკეთ შესასწავლად... ეს ნიჭი გენეტიკური არ არის, ჩემი გვარიდან არავინაა მხატვარი. ვფიქრობ, უფლის ნება იყო, მე რომ ხატვის ნიჭი გამომყოლოდა, რაზეც უსაზღვრო მადლიერი ვარ... აქტიურად ხატვა

2012 წლიდან საღებავებით დავიწყე... მანამდე როგორც ვთქვი, ბავშვობიდან მოყოლებული სულ ვხატავდი, ვსწავლობდი ხატწერას სამების კოლეჯში და ხის მხატვრულ დამუშავებას კოლეჯში - სპექტრი. თუმცა მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება ფერწერა იყო, მხოლოდ ფერწერას გავყევი ბოლომდე და ვემსახურები...

- ძირითადად რომელ ჟანრს ემსახურებით?

- მაქვს შექმნილი რეალისტური ნამუშევრები, ასევე მოდერნისტული,

იმპრესიონისტული და სურიალიზმი. ჯერ კიდევ ძიებაში ვარ და მიწევს სხვადასხვა ჟანრში მუშაობა, სიახლეების ძებნა...

- რომელმა დიდმა მხატვარმა მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული გავლენა?

- ვინაიდან მარინისტული ჟანრი მიყვარს, ჩემზე დიდი გავლენა აივაზოვსკიმ მოახდინა. ფერწერაში მისგან ბევრი რამ ვისწავლე... ძალიან მიყვარს და მხიბლავს დიდი იმპრესიონისტებიც, როგორიცაა - მონე, რენუარი, ვან გოგი

და ასე შემდეგ...

- რამდენად ხელსაყრელი გარემოა დღეს საქართველოში ხელოვანისთვის?

- საქართველოში გარემო არაჩვეულებრივია და ხელსაყრელი ხელოვანისთვის. ულამაზესი მხარეები, ბუნება, ძველი არქიტექტურა გვაქვს, რაც მუზას მუდამ ამძაფრებს და მოტივაციას გაძლევს მეტი შექმნა...

- სოციალურ ქსელში ძალიან დიდი აღფრთოვანება მოჰყვა თქვენს ნახატს, “ქლიავები”... თქვენ რას იტყოდით ამ ნამუშევარზე?

- რაც შეხება “ქლიავებს”, ეს ტილო პანდემიის დროს შევქმენი. სიცხიანს მჟავე გემოები მსიამოვნებდა და მუშაობისას თითქოს ამ გემოს ვგრძნობდი. უფრო რეალიზმისკენ წავედი და, რა თქმა უნდა, დადებითად შევაფასებ... თუმცა უფრო მეტი და მეტი უნდა მოვთხოვოთ საკუთარ თავს და ვეძიოთ მეტი სინათლე ხელოვნებაში.

- თუ მიგიღიათ მონაწილეობა გამოფენებში, კონკურსებში?

- მონაწილეობა მიმიღია არაერთ ჯგუფურ გამოფენებში... სერტიფიკატები, ალბომები, ფულადი ჯილდოც... ასევე მიმიღია მონაწილეობა სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთაც. სომხეთში პლენერზე ხატვა იყო, სადაც რამდენიმე ტილო შევქმენით და შემდეგ დაუვიწყარი გამოფენა გაიმართა. არაჩვეულებრივი მხატვრები გავიცანი, მოხარული ვიქნები ასეთი სიმპოზიუმები თუ ხშირად იქნება კიდევ ჩვენთანაც...ვისურვებდი, ქვეყნის გარეთაც, რადგან ეს ბევრს გვასწავლის, ახალი გარემო, ხალხი და ასე შემდეგ...

- კომერციულ მხარეზე რას იტყოდით?

- საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რასაკვირველია, მხატვრებს გვიწევს კომერციული ნამუშევრების შექმნაც...

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- სამომავლო გეგმებს რაც შეხება, ძალიან მინდა და ვაპირებ პერსონალური გამოფენის მოწყობას. ასევე, მეტ აქტივობას, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას... რა თქმა უნდა, მეტ სწავლას და შრომას ფერწერაში...

მანანა გაბრიჭიძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.